№ 5 კვირა, 23 ნოემბერი 1908 წ. № 5

დროება

ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკები მიიღება დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიის **მღვდელი ირაკლი და მღვდელ-ვითონე გიგო როსაპის ძე ბაკურაძენი** მეუღლითა და შვილებითურთ, აუტანელ მწუხარებასა შინა მყოფნი, აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ პირველის უსაყვარლეს ძმის, ხოლო მეორის უსაყვარულეს შვილის, ტფ. სას. სემინარიის მოწაფის

სევერიანე გიგოს ძის ბაკურაძის

გარდაცვალების წლის თავზე ორშაბათს, 24 ნოემბერს კვალითის-ჯაბუქტის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (1—634—1)

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს, დილის 12 ნახევარ საათზე, ტფ. სას. სემინარიის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავზე პანაშვიდი სემინარიის მოწაფის

სევერიანე ბაკურაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, სემინარიის მეოთხე კლასის მოწაფენი. (1—უ.—1)

ოლგა საჩინოს ასული შვილებითურთ, **ნატალია და სოფიო ილარიონის ასულნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ პირველი—დაუვიწყარ ქმრის, ხოლო მეორენი—საყვარელ ძმის

ვასილ ილარიონის ძის გაგაშვილისას

და სთხოვენ მობძანდნენ განსვენებაზე მისის გვამისა კვირას. 23 გიორგობის თვეს დილის 10 საათზედ, საკუთარ სახლიდან, ოლგინსკი ქუჩა, № 6, ქაშვეთის ეკკლესიაში. პანაშვიდები ყოველ დღე: 12 საათზედ დილით და საღამოს 6 საათზედ. (2—636—2)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე განისა და ყველრიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ბეთანიაათიდ-ით მხოლოდ დილით 8—9 ს. გვირაბებით ავადმყოფებს არ იღებს. ყორდანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ჯიოლანი, N 9. (უ)

ექიმი ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ხუთალამვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა **გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—6)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი ქუთაისში **ვ. ფერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სხვადასხვაგვარ ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ ამდუმელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლოშაის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამორეონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—32)

ექიმი ა. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და ყველრიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, ხუსუტი, საშარდე მილის, ბუმეტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—75)

ექიმი ა. ი. აშიანცი ქუთაისში ყოფილი ორდინატორი სარკოვის საკუჩპიტლო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუნაძისა, N 20. (25—ვ3.—6)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—15)

სამკურნალო ქუთაისში ქირურგიული და დედათა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, შუადღივ საწოლებით და ძუსალგინებელ ოთახით

ექიმი ევ. ბოკერიასი

ამ წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თიფფურიას სამკურნალო იყო. (6—9)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ბედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორდანოვის ქუჩა, საკეთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—34)

ექიმი ქუთაისში **ა. ი. ბაგიშვილი** იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალასანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—10)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოხიარულე ავადმყოფთათვის.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი N 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული,ყოვ. დღე 2—3 ს.

კალამჭაროვი—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ.ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოფოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი ყოველ დღე4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგ. ყოველ დღე 12—1 ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 12 ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურისა, ყელი. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—81)

„ტფილისის სოგრანიე“

კვირას, 23 ნოემბერს გაიმართება

მასკარადი

ბილეთები მასკებისათვის ბ-ნთ წევრებს და კანდიდატებს შეუძლიანთ მიიღონ „სოგრანიეს“ შვეიცარისაგან ყოველ დღე, დილით 10—2 ს., საღამოთი 7—10 საათზე. სტუმრებს საზოგადო წესით შეუძლიანთ შესვლა და უნდა გადაიხადონ: ვაჟებმა 2 მან., მანდილოსნები უფასოდ. (2—632 2)

ქართული წარმოდგენა

დრამატიულ კურსების ზალაში

(მიხაილოვის ქ. N 91).

კვირას, 23 ნოემბერს 1908 წ. ქართულ დრამატიულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

ციმბირელი

კომედია 4 მოქ. ავ. ცაგარლისა.

მოიაზილეობას იღებენ ქ-ნნი დ. რჩეულოვი, ო. ჩაგუნავა, ხ. ბერიძე, თ. გოგიბერიძე; ბ-ნნი ზამბელი, ლებურელი, ბემლარიძე, გრიმაშვილი მუტრუკელი და ლიბანიძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(1—უ.—1) გამგე ნ. დადვაძისა.

ფერშალი ლეონტი ი. ბარკალაია

უცრის ყვავილს, იღებს ყელჭირვების, ხეოსაგისა და ვენერიულ ავადმყოფებს ყოველ დღე 3—6 საათამდე. ბოგოლის ქუჩა N 68. (15—613—11)

„ტფილისის სოგრანიე“

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებს და კანდიდატებს, რომ ვადა ბილეთების განსაახლებლად მომავალ 1909 წლისათვის თავდება 1908 წლის 15 დეკემბერს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მამასახლისთა საბჭო იხელმძღვანელებს „სოგრანიეს“ წესდების მე-15 პარაგრაფით. (2—637—1)

სადილები

საუკეთესო ერბოზე დამზადებული:

2 თავი და 1 ბრაყი—50 კ.
3 „ „ —75 კ.
4 „ „ —1 მ.

ახლად გახსნილ რესტორანში

ალბერტინი

«ევროპის» სასტუმროს ქვეშ. ვოროშილოვის ძეგ. პირდაპირ, სისუფთავე საუზეოდ. საპატარეულოს განაგებს გამოცდ. კულინარი. ფასები კაბინეტები. ფვინე საუკეთესო ფირმებისა აბგ., და რუს. და სას.-ბარ. (12—ნაღ.—1)

!!! წაიკითხეთ !!!

ქუთაისში, ალექსანდრე კოსტავას მაღაზიაში, თბილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქის გვერდით:

ეს-ეს არის მივიღეთ ყოველ გვარი **შეკერილი ევროპიული ტანისამოსი** და თეთრეული კაცებისათვის და აგრეთვე რუსული და საზღვარ-გარეთელი მატერიები კაცის სატანისამოსოთ, რომელსაც ვყიდით არშინობით და ვკისრულობთ შეკერვასაც.

ფასები ძლიერ დაკლებულია

(7—ფ—4)

ტფილისის სახალხო თეატრი

დილით: კვირას, 23 ნოემბერს, ორი წარმოდგენა: **საღამოთი:**

„მეფე დურგალი“ **და პროფესორი; „ზაზა“**

მონაწილეენი: ქ-ნნი ვიშკემსკაია, ზასლავსკაია, ფერრარი, კალინინა მეორე; ბ-ნი დანილევსკი, კარეევიჩი, სერგეევი, ევლახოვი, როსოლიმა, როზანოვი, კარელინი, ლუტჩოვი, ტომსკი და სხ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: 24 ნოემბერს „კარმენი“; 26 ნოემბ. სარაჯიშვილის მონაწილ. „მინიონი“.

გვაქვს
პიტივი ვაუწყოთ პატივცემულ
საზოგადოებას, რომ ჩვენ
ახლად გავხსენით შემდეგი
საოჯახო ნივთების მაღაზია: სარკეები, სამოვრები, ჩაისა და ყავის ჭურჭელი—ნიკელისა, სტოლის მოწყობილობანი, „კერასინკები“, ყოველნაირი ემალიანი ჭურჭელი და ოჯახში სახმარებელი ყოველგვარი ნივთები

ფასები საფაბრიკოა

ვთხოვთ პატივცემულ სიზოგადოებას
პირადათ დარწმუნდეს საქონლის
სიაფეში და **სიკარგეში.**

პუშკინის ქუჩა, № 25, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.

პატივისცემით ფ. ი. კანტიძე შვილებით.

(10—ნ—5)

იაფი, მკვიდრი, პოხტა

ახლად გაიხსნა გოლდშტეინის **ამერიკული მაღაზია** საათებისა, ოქროს და ბრილიანტების ნივთებისა (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, მაკკერის აფთიაქის გვერდით). მიღებულ იქნა მრავლად საათები შვეიცარიის საუკეთესო ფაბრიკებისა, სხვა და სხვა ოქროს ნივთები, დამზადებული საკუთარ სახელოსნოში. ექიმების რეცეპტებით ვამზადებ სათვალეებს **ენსნეებს**. საათების შეკვეთება სპეციალურად მინდობილი აქვს ხელოსნებს, რომელნიც მუშაობდნენ „პაველ ბუხ“-თან პეტერბურგში. ვთხოვთ მუშტარს თითონ დარწმუნდეს. (5—ხალ.—4)

ტფილისი, 23 ნოემბერი.

ტფილისის გაზეთები ამ ბოლო დროს სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების მდგომარეობაზე ალაპარაკდნენ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეს საზოგადოება თავის დანიშნულებით და შინაარსით ერთ-ერთი ძვირფასი ორგანიზაციაა იმ პირადის ძალებისა, რომელნიც მდაბიო ხალხში კულტურის და განათლების გავრცელებას ესწრაფიან. ტფილისის მდაბიო ხალხმა თავიდანვე მხურვალი ინტერესი გამოიჩინა ამ საზოგადოებისადმი, მრავლად ჩაეწერა იმის წევრად და ერთის წლის განმავლობაში უკვე შეჰქმნა ტრადიცია სისტემატიურად საჯარო ლექციების მოსმენისა და კულტურულ გასართობებით თავის შექცევისა. ტფილისის სახალხო უნივერსიტეტმა უეცრივ ისეთი დიდი საპატიო სახელი მოიხვეჭა, რომ ამიერ-კავკასიის ბევრს ქალაქსა და დაბაში გაიღვიძეს მთვლემარე ძალებმა და მხნედ შეუდგნენ იქ უნივერსიტეტის ადგილობრივი განყოფილებათა დაარსებას. ვინც რა უნდა იფიქროს განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე, იმ აზრის სიმართლეს მაინც ვერავინ ვერ დაარღვევს, რომ უვიცობის წყვდიადში მომწყვდეულ ხალხს ამ მოძრაობამ ცოდნის და განათლების წყურვილი გაუღვიძა. სახალხო უნივერსიტეტი სახალხო მასსის სულიერ განწყობილებისთვის ზედგამოჭრილი დაწესებულება იყო და სწორედ ამიტომ განავითარა მან თავის მოქმედების პირველს წელსვე ესოდენი ენერგია.

ამ უამად ტფილისის პრესსა გულდაკოდილ აღნიშნავს, რომ სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოებას მოსალოდნელ წარმატების ნაცვლად პირდაპირ უკან ჩამორჩენა და მოქმედების ჩამოქვეითება დაეტყოო. ამბობენ, შვიდის თვის განმავლობაში გამგეობამ ვერც ერთ წესიერ სხდომის გმართვაც კი ვერ მოახერხა, რადგან გამგეობის წევრები კრებისთვის არ იკრიფებოდნენ ან ვერ იკრიფებოდნენო. ეს, რა თქმა უნდა, შეუწყნარებელი გულგრილობაა და, ვისაც გულის მოფხანა ჰსურს, საკმაო საბუთი აქვს, კეთილშობილურ აღშფოთებას მიეცეს და გაფაქიზებულ გრძნობათა შელახვის სიტკბოება განიცადოს. ასეთი კეთილშობილური აღშფოთება საქმეს არაფერს ავნებს, თუმცა კი არც არას არგებს. საქმის სარგებლობისთვის თავი უნდა დავანებოთ გრძნობებით გატაცებას და ისე ვიძიოთ მიზეზები მოქმედების შესუსტებისა.

ამ მხრივ, ჩვენის ფიქრით, უდიდესი მნიშვნელობა იმ გარემოებასა აქვს, რომ ორიოდე წლის წინად, როცა სახალო უნივერსიტეტის საზოგადოება დაარსდა, სახალხო თვითმოქმედების საყოველთაო ცენტრად პოლიტიკური მოძრაობა და პოლიტიკური მიმართულება ითვლებოდა. ნაირნაირ მოღვაწეობის ასპარეზზე ცხადად თუ ფარულად ყველგან მთელი გულისყური პოლიტიკურ პრინციპებისკენ იყო მოქცეული და ყოველგვარი მოღვაწეობა იმის მიხედვით ფასდებოდა, თუ რა პოლიტიკურ პრინციპებიდან დაასკვნიდნენ მოღვაწენი თავიანთ საქმიანობას. პოლიტიკურ ინტერესების ბატონობა ისე გაძლიერებული იყო, რომ ხშირად კერძო პირებიც კი თავიანთ კერძო საქმეების გამო ჩამოვარდნილ უთანხმოების გადასაწყვეტად პოლიტიკურ ორგანიზაციებს იწვევდნენ. საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე ყველგან პირველ რიგში პოლიტიკური მოღვაწენი ან, მარტივად რო მოგახსენოთ, პარტიებისაგან მოწონებული კაცები იდგნენ. ჩვენს დროში, როცა რეაქციის გავლენით პოლიტიკურ მოღვაწეებს თვალსაჩინოდ შეუსუსტდათ მოქმედების უნარი და ენერგია, ეს სისუსტე დაეტყო აგრეთვე იმ დაწესებულებებს, სადაც მართალია არსებითად პოლიტიკას არა აქვს ადგილი, მაგრამ საქმის სათავეში კი მაინც პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ახლო მყოფნი სდგანან.

სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების უკანასკნელ წლიურ კრებაზე არჩევნები პარტიების გავლენით მოხდა. სრული სიმართლეა, რომ სახალხო უნივერსიტეტს პირდაპირ პარტიულ და პოლიტიკურ საქმედ არავინ არ აცხადებდა, მაგრამ არჩევნები კი მაინც პოლიტიკურ ორგანიზაციების ნებსით თუ უნებურ გავლენის ქვეშ მოხდა. თითქოს ყველას დაავიწყდა, რომ პოლიტიკურ სიმპატიებისაგან დამოუკიდებლივ სახალხო განათლებას მრავალი უმწიკვლო და უანგარო მუშაკი ჰყავს. ეს ის უჩინარი კულტურტრეგერები არიან, რომელთაც სახალხო უნივერსიტეტის დაარსებაზე გაცილებით ადრე დაიწყეს თავიანთი ჩუმი მუშაობა და ჩაჰყარეს მტკიცე საძირკველი სახალხო თეატრისა და სახალხო კითხვებისა. პოლიტიკურ ინტერესების სიძლიერით ეს ბუნებრივი აქტიური ელემენტები სახალხო უნივერსიტეტისა დაიჩრდილნენ და მათ ნაცვლად საქმის მეთაურობა ისეთ პირებს ჩაუვარდათ ხელში, რომელთაც წმინდა კულტურულ მუშაობისთვის არც მაგრე რიგად გული უძგერდათ და არც საკმაო გამოცდილება ჰქონდათ. ის, რაც პირველის შეხედვით უბრალო გულგრილობაა, ნამდვილად მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა ტაქტიკასთან. გამგეობის წევრთა გულგრილობა პირველ ნაყოფია იმ გარემოების, პოლიტიკურ სიმპატიების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევითვისოთ, რომ პოლიტიკურ ტენდენციებს არავითარი ადგილი არ უნდა ეძლეოდეთ იქ, სადაც წმინდა კულტურული მუშაობაა გასაწევი.

ასეთია, ჩვენის ფიქრით, ის გაკვეთილი, რომელსაც გვაძლევს უნივერსიტეტის საზოგადოების მოქმედების უკანასკნელი წელიწადი. ამ გაკვეთილს შეგნება და შეთვისება უნდა. როცა სახალხო უნივერსიტეტის მესვეურებად შესაფერ პირებს აირჩევენ, მაშინ საქმეც უკეთ წავა.

არ უარყოფთ, რომ ადმინისტრაციის მიერ ადგილობრივ ენებზე ლექციების აკვეთას და ქალაქის თვითმართველობის მიერ სახალხო სახლის ჩაკეტვას თავისი გავლენა ჰქონდათ უნივერსიტეტის მოქმედების შესუსტებაზე, მაგრამ უპირველესი მნიშვნელობა მაინც იმ გარემოებას ეკუთვნის, რომ არჩევნების დროს უფრო პოლიტიკურ სიმპატიების გავლენის ქვეშ იყო კრება, ვიდრე წმინდა კულტურულ საქმის წარმატების გავლენის ქვეშ.

პატარა მატიანე

I

დაიხურა ყაზბეგის ქალთა სკოლა—პატარა ქალებს ქართულად ასწავლიდნენ სასწავლო საგნებს.

ქართულმა გიმნაზიამ კინალამ შეიოილო ქართულ ენაზე სწავლება; ქართულ სახელმძღვანელოებს გამოცემასაც შეუდგნენ, რაზედაც ათას მანეთამდე დაიხარჯა; მაგრამ ყაზბეგის სკოლის ბედმა სკოლის პატრონებს აზრი შეუცვალა და ისევ რუსულ გიმნაზიად აქციეს; სახელი კი ქართული დაუტოვეს, თავისა თუ სხვის მოსატყუილებლად.

საქალაქო პირველდაწყებით სკოლებში ისევ ძველ წესს უბრუნდებიან: წინააღმდეგ ნამესტნიკის დადგენილებისა და უმაღლესად დამტკიცებულ სამინისტრო წესებისა სწავლების ენად (გარდა პირველ განყოფილებისა) ისევ რუსულია საფალდებულო; ეხლახან სახალხო სკოლების დირექტორმა შეჰკრიბა საქალაქო სკოლების მასწავლებლნი და, სხვათა შორის, გამოუცხადა—ტყუილად წარმოგიდგენიათ, ვითომ არსებობდეს ქართული ან სომხური სკოლა; არსებობს მხოლოდ რუსული სკოლა.

სახალხო უნივერსიტეტში აკრძალულია ქართულ ენაზე (სომეურზედაც) საჯარო ლექციების კითხვა და ამით ეს დიდ-მნიშვნელოვანი დაწესებულება ფაქტიურად გაუქმებულია.

II

როცა ყაზბეგის სკოლის ბედი სწყდებოდა, სკოლის პატრონებმა საზოგადოებას მიჰმართეს რჩევისა და დარიგებისათვის; რამდენჯერმე კრებაც გიმართა, მაგრამ ჩვეულებრივ გულ-გრილობის მეტი ვერაფერი დახმარება ჰპოვეს.

ქართულ გიმნაზიის პატრონები სრულის დამშვიდებით, აუშფოთებლად შესცქერიან საქმეთა მიმდინარეობას. როცა თავიანთი გიმნაზია რუსულ გიმნაზიად აქციეს, თავიანთ სინიდისის დასამშვიდებლად, თუ საზოგადოების თვალის ასახვევად დაადგინეს—ეხლავე აღიქრას შუამდგომლობა ქართულ საშუალო სკოლის დაარსების შესახებაო. ნახევარ წელიწადზე მეტი გადის მას შემდეგ და არა თუ შუამდგომლობა არ აღ-

ძრავთ, შუამდგომლობის ქაღალდიც კი არ დაუწერიათ ჯერ.

ქალაქის თვითმართველობა, როგორც უკვე აღგვინიშნავს, ხელს აწერს დირექციის ყოველ განკარგულებას.

ერთის მხრივ აკრძალვანი, მეორეს მხრივ სრული გულგრილობა ეგრედ წოდებულ საზოგადოებისა და საზოგადოებრივ და წოდებრივ დაწესებულებათა. მართალია, „ესე ამბავი ქართული“ ჩვეულებრივია, აკრძალვანიცა და საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი ძველი, კარგად ნაცნობი მოვლენაა. მაგრამ ცოტა იმედი იყო, რომ იმ ძლიერ ქარტეხილის შემდეგ ეს ინდიფერენტისმი გაჰქრებოდა. და თუ ინდიფერენტიზმი აღარ იქნებოდა, თუ ყოველ აღკრძალვას საზოგადოება გულისტკივილით მაინც დასუხებდა, მოყვანილი მატიანეც ასე სავსებით უნუგეშო არ იქნებოდა.

* * *

ტეუიდად ქეებ ვარდს გადაფურჩქნულს,
ეი ჩამჭკნარა, მტვრად ქცეულა;
ღარტ დაგლეკბობს ნედი სიმღერა—
ის სამუდამოდ მიეუჩებულა!

ჩემი ოცნება წახ მიისწრაფვის,
ხოვრების ტალღებს მაღლით დავცქერი
და ნოდად ვხედავ ბედკრულ სოფელში
ამაო არის სულ-უველაფერი!..

სამეფრობიდეა ქვეეანა ბნელი,
ული სიბრალდად მან აძეერა;
ჩანგიც მიტომ მწარედ ქვითინებს,
ფლიანია ჩემი სიმღერა!..

ა. შ—ლი.

სახელმწიფო სათათბირო

კრედიტი საეკლესიო სკოლებისათვის

მე-17 სხდომაზე, 19 ნოემბერს, სათათბირომ განაგრძო კამათი საეკლესიო - სამრევლო სკოლებზე 4.003.740 მანათის კრედიტის გადადების შესახებ თანახმად სინოდისა და მთავრობის პროექტისა. გრძელი სიტყვა პროექტის დასაცველად წარმოსთქვა **ეპ. ევლოგიმ**. პროგრამის სივრცით, მასწავლებელთა მზადებით და კეთილის მიმართულებით საეკლესიო სკოლები არ ჩამოუვარდებიან საერო სკოლებსაო. საეკლესიო სკოლები არ მოსწონთ მარტო იმ ელემენტებს, რომელთაც თავის დროშაზე დაუწერიათ ეკლესიასთან და სარწმუნოებასთან ბრძოლაო. შემდეგ ეპისკოპოზი ხოლმის ოლქის მაგალითით ამტკიცებს საეკლესიო სკოლის სარგებლობას: იქ, უცხო მოდგმის და სარწმუნოების ხალხში, საეკლესიო სკოლამ დაიცვა რუსის ხალხის ეროვნული და სარწმუნოებრივი თვითშეგნებაო. მასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსული საეკლესიო სკოლა ვიწრო კლერიკალურ ფანატიზმისაგან შორს არისო და მხოლოდ საერო განათლების საქმეს ემსახურებაო. საერო და საეკლესიო სკოლათა შორის ანტაგონიზმი არ არის: ორივენი ერთ დიად საქმეს ემსახურებიან და ორივეს თანაბარი დახმარება უნდა სახელმწიფოსაგანაო (ტაშის ცემა მარჯვნით და ცენტრში). პროექტის წინააღმდეგ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა კადეტმა **მასლენნიკოვმა**, რომელიც ამტკიცებდა, რომ საეკლესიო სკოლა ახალი ხილია რუსეთში; მას არავითარი კავშირი არა აქვს წარსულთან და ბიუროკრატიის მიერ იქმნა შემოღებული 1880 წლებში რეაქციის სამსახურისთვის; ეს სკოლა ანტისაზოგადოებრივია, რადგან უფრო პოლიტიკურ მიზანს ემსახურება, ვიდრე ხალხის განათლების საქმესაო. ამიტომ კადეტები კრედიტის გადადების წინააღმდეგნი არიანო. პოლონელი **დიმშა** იმ აზრისაა, რომ სახალხო სკოლა ერობათა ხელში უნდა იყოს, უთუოდ თავისუფალი ეკკლესიის გავლენისაგან. თვითონ ეპ. ევლოგიმ დაგვიმტკიცა, რომ საეკლესიო სკოლა პოლიტიკას ემსახურება, როცა ხოლმის ოლქის მაგალითი მოიყვანაო.

ლიკაშინი სათათბიროს 53 გლეხის სახელით, განურჩევლად პარტიებისა, აცხადებს, რომ გლეხი—დეპუტატები წინააღმდეგნი არიან საეკლესიო სკოლისა და მთავრობის კანონ-პროექტს მხარს არ დაუჭერენო.

კიდევ მცირე კამათის შემდეგ სათათბირო კენჭის ყრას შეუდგა. 179 ხმით წინააღმდეგ 120-სა სათათბიროს შეიწყნარა მთავრობის მოთხოვნა საეკლესიო სკოლებისთვის კრედიტის გადადების შესახებ. კანონპროექტის დაწვრილებით შემუშავება, ეპ. ევლოგის წინადადების თანახმად, სათათბ. საერო განათლების კომისიას მიენდო.

კრედიტი სასკოლო შენობათათვის

სათათბიროს წარედგინა 35 დეპუტატის წინადადება, რომ ხაზინიდან გადაიდოს ექვსი მილიონი მანათი საერო სახალხო სკოლებისათვის შენობათა ასაგებად. მომხსენებელი **კოვალევსკი** აღნიშნავს, რომ 1905 წლიდან 10.500 საერო სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს და შეიფრრებულნი არიანო. თუ საყოველთაო სწავლება იქმნა შემოღებული, მარტო შენობათა აგებას დასჭირდება 400 მილ. მანათი, ხოლო ამ ხანად სათათბიროს ექვსი მილ. მან. მაინც გადადოსო ამ საქმის დასაწყებად. საერო განათლ. მინისტრის ამხანაგი **გეორგიევსკი** აცხადებს, რომ მთავრობამ უკვე შეიმუშავა პროექტი სასკოლო შენობათა ასაგებ ფონდის დასაარსებლად, რომელიც სულ ცოტა ხანში წარმოედგინება სათათბიროსაო. **კლოჩკოვი** ამ აზრისაა, რომ სკოლების შენობათა აგების საქმის ყურისმგდებელი ერობა უნდა იქნესო. **ბულატი** და სხვა ორატორებიც იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ამ დიდ საქმისთვის 6 მილ. მან. იმდენად ცოტა ფულია, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს, ისე უნდა შეიწყნაროთ წინადადებაო.

სათათბიროს ერთხმად აღიარა საჭიროველად ექვსი მილიონის გადადების საჭიროება სასკოლო შენობათა ფონდისათვის და გადასცა პროექტი საერო განათლების კომისიას.

ერობა დონის ოლქში

სათათბიროს წარედგინა 77 დეპუტატის წინადადება დონის ოლქში საერობო თვითმართველობის დაწესების შესახებ. **ეფრემოვი** მხარს უჭერს წინადადებას და მოითხოვს, რომ იგი დაუყონებლივ გადაეცეს სათანადო კომისიას პროექტის შესამუშავებლად. **მთავრობის წარმომადგენელი** ყაზახთა ჯარების მთავარ მმართველობის უფროსი აცხადებს, რომ სამხედრო სამინისტრო პრინციპიალურად მომხრეა დონის ოლქში ერობის შემოღებისა; არა აქვს-რა საწინააღმდეგო არც კავკასიის მთავრობის მიერ ეხლახან წარმოდგენილის პროექტისა ყუბანის და თერგის ოლქებშიაც ერობის დაწესების შესახებ; გარდა ამისა, სამხედრო სამინისტრომ ასტრახანის, ორენბურგის და ურალის ყაზახთა ჯარების საოლქო მმართველობათაც დაავალა განიხილონ საკითხი მათ ოლქებში ერობის შემოღების შესახებაო. მაგრამ ამ ოლქებში და განსაკუთრებით დონისაში ადგილობრივი პირობები სხვაა, ვიდრე შინა რუსეთში, და ამიტომ მთავრობა შეუდგა ერობის ახალ პროექტის შემუშავებას ამ ოლქებისათვისო.

მცირე კამათის შემდეგ სათათბირომ, ხმის უმრავლესობით, სასურველად აღიარა დონის ოლქში ერობის დაწესების წინადადების აღსრულება და თვითმმართველობის კომისიას დაავალა პროექტის შემუშავება.

ერობა ციმბირში

სათათბიროს წარედგინა ციმბირელ დეპუტატების წინადადება ციმბირში ერობის შემოღების შესახებ. **კარაულოვი** მხარს უჭერს წინადადებას და მოითხოვს მის გადაცემას შესამუშავებლად სათანადო კომისიაში. მთავრობის წარმომადგენელი **პშერადსკი** აცხადებს, რომ ციმბირის შესახებ ერთობ ძნელია საერობო რეფორმის დაჩქარებაო: დიდ ტერიტორიაზე მრავალი სხვა და სხვა ხალხი ცხოვრობს, სხვა და სხვა კულტურისა და მომზადებისა, ბევრი განსაკუთრებული პირობაა იქაუ ცხოვრებაში და ყველა ამას ფრთხილი გათვალისწინება და შესწავლა უნდაო. **პრედკალინი** ს.-დ. მხრით მოითხოვს ადგილობრივ თვითმმართველობის სრულს გადემოკრატებას და ერობის შემოღებას ყველა განაპირა ქვეყნებში: კავკასიაში, ციმბირში, პოლონეთსა და ბალტიისა მხარეში. **ფონ-ანრეპი** აცხადებს, რომ ოქტომბრისტები საჭიროდ სთვლიან ციმბირის შესახებ კანონ-პროექტის შემუშავებას სათათბიროს კომისიაში, მთავრობის პროექტის ლოდინი საჭირო არ არისო. **ვოლოდიმიროვი** მემარჯვენეთა მხრით აცხადებს, მთავრობის პროექტს უნდა დავუცადოთო. **ტიმოშკინი** ამ აზრისაა, რომ ციმბირში ერობის დაწესება შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ მისი კოლონიზაციის საქმე არ დასრულდება, თორემ ციმბირის ერობა გადმოსახლებულთ მიწას აღარ დაანებებსო (ტაშის ცემა მარჯვნით).

მცირე კამათის შემდეგ სათათბირომ, მხოლოდ მემარჯვენეთა ხმების წინააღმდეგ, სასურველად სცნო ციმბირში ერობის დაწესება და სათანადო კომისიას დაავალა პროექტის შემუშავება.

ერობა ასტრახანის გუბერნიაში

სათათბიროს წარედგინა წინადადება, რომ ასტრახანის გუბერნიაში ეხლავ იქმნას შემოღებული ერობა თანახმად 1890 წლის საერობო დებულობისა. **ვინოგრადოვი** მხარს უჭერს წინადადებას და მოითხოვს, რომ იგი დაუყონებლივ გადაეცეს განსახილველად და მოხსენების შემუშავებლად თვითმართველობის კომისიას. სათათბირომ უკამათოდ მიიღო წინადადება.

ერობა არხანგელსკის გუბერნიაში

იმნაირივე წინადადება შეაქვთ სათათბიროში არხანგელსკის გუბერნიის შესახებ. მომხსენებელი **მეფოდიევი** მხარს უჭერს წინადადებას და თან აცხარებს, რომ მთავრობის მოსაზრება, ვითომ ეს გუბერნია ღარიბია და ერობას ვერ შეინახავს, საფუძველს მოკლებულია, რადგან გუბერნიას ეხლაც დიდი საერობო გადასახადი აქვს დაკისრებულიო. მცირე კამათის შემდეგ ეს წინადადებაც იქმნა შეწყნარებული.

შეკითხვები

19-სავე ნოემბერს, საღამოს სხდომაზე, სათათბიროს შეუდგა იმ შეკითხვების განხილვას, რომელნიც მთავრობას წარედგინა გასულ და ახლანდელ სესსიებში. პირველი შეკითხვა შეეხება ვილნოს საიდუმლო პოლიციის მოხელეთა არა-კანონიერს მოქმედებას. მთავრობის მხრით პასუხს იძლევა შინ. საქმ. მინ. ამხ. **მაკაროვი**, რომელიც აღნიშნავს, რომ ვილნოს პოლიციის არა-კანონიერი მოქმედებანი, თუ ასეთებს ადგილი ჰქონდათ, შეეხებიან იმ დროს, როცა ახლანდელი მთავრობა არ განაგებდა რუსეთსაო და ამიტომ დღევანდელი მთავრობა პასუხისმგებელი არააო. შემდეგ გადადის საკითხის არსებითად გარჩევაზე და ამტკიცებს, რომ შეკითხვაში მოხსენებულ ფაქტებს ადგილი სრულიადაც არა ჰქონიათო. შეკითხვა ვინმე გრიმმის ჩვენებაზეა დამყარებულიო; გრიმმი-კი საეკვო პირია: ებრაელი კონტრაბანდისტი და საროსკიპო სახლის პატრონიო. როცა კონდრაბანდის გადმოტანაში დაიჭირეს, თავის დასაძვრენად გამოაცხადა—საიდუმლო პოლიციის აგენტი ვარო. მის ჩვენებას, ამიტომ, არავითარი ფასი არა აქვს და მთავრობას საბუთი არა აქვს, არა-კანონიერ მოქმედებისათვის სამართალში მისცეს ვილნოს საიდუმლო მოხელეენიო. დასასრულ მაკაროვი აცხადებს, რომ ახლანდელი მთავრობა „სულითა და გულით“ წინააღმდეგია ეგრედ წოდებულ პროვოკაციის და არასოდეს არ შეიწყნარებს მასაო (ვაშა, ვაშა და ტაში-სცემა). ერთ-ერთ განაპირა ადგილას მართლა მოხდა ასეთი პროვოკაცია და სამინისტრომ სამართალში მისცა პოლიციის უფროსი, რომელსაც ვ

ფელეტონი

ნაციონალური საკითხი

(„ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, ნ. ჟ—სი).

ნ. ჟ—ს „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ ახალი ამბავი არ არის ქართველ მკითხველისათვის; ეგი წერილებად იბეჭდებოდა განსაზღვრულ მიმართულების გაზეთებში და ქართულ პრესაში კამათიც გაიმართა ამ წერილების გამო. ჩვენ მაინც მეტად არ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ნ. ჟ—ს ნაწარმოებზე: მეტი რომ არა ვთქვათ, მეტად უცნარის შინაარსის არის; ამასთან ავტორის თანამოაზრეთ საჭიროდ დაუნახავთ ამ უცნაურობის ცალკე წიგნაკად გამოცემა.

I

„არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორც ქართველ ხალხს“-ო, ეუბნება ავტორი წერილის დასაწყისში და ამ თავის ნათქვამს ორის საბუთით ამტკიცებს: პირველი—ბევრს ეცადა ქართველი ინტელიგენცია ეროვნული მიმართულება შეექმნა ხალხში, მაგრამ ცდა უნაყოფო იყო, მეორე—არც ერთ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში ხალხს მონაწილეობა არ მიუღიაო, მაგრამ სჯობს თითონ ავტორი ვალაპარაკოთ: „ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი შრომა გასწია, დიდი ენერგია დახარჯა ამისთვის, რომ რაიმე გზით მას მიეგნო ხალხის [illegible] ნაციონალურ კითხვას აერთებდნენ მაშინდელ სოციალურ კითხვასთან. მით თავის დროშაზე დაეწერეს—ბატონყმობის მოსპობა და ნაციონალური თვითარსებობა. ხალხმა სიამოვნებით მიიღო პირველი, მაგრამ მეორეს (ნაციონალურ თვითარსებობას სანახევროდ ფრთა შეაკვეცა. რამდენადაც ეს შეიცავდა საჭიროებას ქართულ სკოლისას, თეატრისას და სხვა კულტურულ დაწესებულებისას—ამის წინააღმდეგი ხალხი არ ყოფილა, პირიქით, ეს მისი ცხოვრების მიუცილებელი მოთხოვნილება და იმავ დროს მისი განვითარების იარაღია“ (გვ. 3—4). *).

თავში ამონაწერი პირველი წინადადება რომ წავიკითხეთ, ჯერ გვეგონა, რომ ავტორს იმისი თქმა არ უნდოდა, რაცა თქვა, მაგრამ რომ ჩავყევით, დავრწმუნდით, რომ სწორედ ამ... ახირებულ აზრის გამოთქმა სურდა: ქართველ ხალხს, რომელიც ერს შეადგენს, ყველა სხვა ხალხზე ნაკლებ აინტერესებს ეროვნული საკითხი, საკითხი თავის ვინაობის დაცვისა, თავის არსებობისა! ის ხალხი რომლის ეროვნული არსებობა და ცხოვრება უზრუნველყოფილია, ნაკლებად არის დაინტერესებული ეროვნულ საკითხში; ეს ჩვეულებრივი მოვლენაა; მაგრამ როგორ შეიძლება ეროვნული საკითხი არ აინტერესებდეს, მაგალითად, ქართველ ან პოლონელ ერს, როცა ერთსაც და მეორესაც ეროვნულად განადგურებას უპირებენ ყოვლის საშუალებით? თუ არსებობს ერი, თუ მის თავისუფალ განვითარებას ბორკილს აღებენ და ბოჭავენ, შეუძლებელია, დიდად დაინტერესებული არ იყოს ეროვნულის საკითხით და როცა ნ. ჟ—ია კატეგორიულად აცხადებს, ყველა ხალხზე ნაკლებ ქართველ ხალხს აინტერესებს ეროვნული საკითხი, ამითი იგი უთუოდ სამში ერთს ამბობს: ან იმას, რომ არც ერთ ხალხის ეროვნული განვითარება ისე უზრუნველ-ყოფილი არ არის, როგორც ქართველებისა, ან იმას, რომ ქართველი ხალხი როგორც ეროვნება, არ არსებობს და ან იმას, რომ ქართველი ერი არსებობს, მაგრამ არავითარი ეროვნული მოთხოვნილება არ მოეპოვება და ამიტომ მისთვის თვითარსებობის საკითხს მნიშვნელობა არა აქვს. ყველა მკითხველი ადვილად დამეთანხმება, რომ ერთიც, მეორეც და მესამეც ნამდვილი აბსურდია და მეტი არაფერი. ეხლა ვნახოთ, როგორის საბუთებით ამტკიცებს ავტორი საკუთარის [illegible] ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი შრომა გასწია, დიდი ენერგია დახარჯა, რომ ეროვნულ თვით-არსებობის სურვილი აღეძრა ხალხში; ნაციონალური თვით-არსებობა ბატონ-ყმობის მოსპობასაც კი დაუკავშირეს, მაგრამ ვერც ამან გასჭრა და საწადელს ვერ ეწვინნო, კატეგორიულადვე ამბობს ბ-ნი ჟ—ია. ვინმე უცხოელს რომ დაეწერა—ქართველებს მხნე ინტელიგენცია ჰყავს, მშრომელი და დიდი ენერგიის პატრონიო, შეიძლება, არ გაგკვირვებოდა, რადგან იშვიათია, რომ უცხოელი კარგად ჩახედული იყოს ადგილობრივ ცხოვრებაში, მაგრამ როცა ამასვე ამბობს ქართველი ჟურნალისტი, რომელიც კარგად იცნობს ჩვენი ინტელიგენციის წარსულსა და ეხლანდელ მდგომარეობას, ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა აქვს. როდის აქეთ არის, რომ ნ. ჟ—იამ ჩვენს ინტელიგენციაში დიდი შრომა და დიდი ენერგიის ხარჯვა დაინახა? სად იყო აქამდე ეს მშრომელი და ენერგიის პატრონი ინტელიგენცია? ნ. ჟ-იამ კარგად იცის, რომ ჩვენს ინტელიგენციის დიდი შრომა. არც ერთ საქმისათვის არ გაუწევია და არც დიდი ენერგია დაუხარჯავს (გარდა საბანკო და, ხანდახან, საქალაქო არჩევნებისა), მაგრამ მაინც წინააღმდეგს ლაპარაკობს!... ბოლო დრომდე ტყუილადაც არ უცდია ქართველ ინტელიგენცის, რომ რაიმე განსაზღვრულის პროგრამით მისულიყო ხალხთან; ეს ინტელიგენცია რომ ასე უქნარი და უენერგიო არ ყოფილიყო, შესაძლებელია, „პროლეტარიზაცია-კონცენტრაციასა“ და ცენტრალიზმზე ადრე და ბევრად უკეთ ის უბრალო და ელემენტალური შეგნება ყოფილიყო გავრცელებული, რომ ერის არსებობისათვის განსაზღვრული პირობებია საჭირო. ბაღლები ხართ, არც ცხოვრების, არც მეცნიერების, არაფერი გაგეგებათ, არ გესმით, რომ მდგომარეობა ქმნის შეგნებას და არა შეგნება მდგომარეობასო, მოგვახლიან ხოლმე პირში ჩვენი მოკამათენი, თამამად ვიტყვით, რომ არა გაწამს რა ასეთ გულუბრყვილო მატერიალისმისა, რომელიც, საბედნიეროდ, კაი ხანია, სავსებით უარყოფილია თანამედროვე მეცნიერებასა და ფილოსოფიაში. მგრამ არც თუ ფანტაზიორები ვართ—„მდგომარეობა“-ს, სინამდვილეს სხვაზე ნაკლებ არც ჩვენ ვიცნობთ, შესაფერისადაც ვაფასებთ და სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენში ეროვნული საკითხი მომწიფებულია მას აქეთ, რაც ქართველობა ეროვნულად დევნილი და შევიწროებულია. ყოველ დაჩაგრულ ეროვნებას აიძულებს „მდგომარეობა“, ჩაგვრა თავიდან მოიშოროს და თავისუფალ განვითარების პირობები შექმნას. და სადაც ასეთი მდგომარეობაა, იქ ინტელიგენციის დიდი შრომა და ენერგია უთუოდ შექმნის შესაფერ შეგნებასაც, მაგრამ, სამწუხაროდ, არც შრომა ყოფილა ჩვენში და არც ენერგია. თუ რა შეუძლია დიდ შრომასა და ენერგიას, ამის საუკეთესო მაგალითს ჩვენ ნი მოკამათენი იძლევიან: არსებითად სამეურნეო და წვრილ მესაკუთრეთა ქვეყანაში შექმნეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც წვრილ მესაკუთრეთა ფსიხოლოგიას და „თავის კეფას“ ნაკლებად შეეფერება; რამდენადაც გაგვიგია, წვრილი მესაკუთრეობა და სასოფლო მეურნეობა არ არის ის „მდგომარეობა“, რომელიც ჰქმნის მარქსისტულ „შეგნებას“; ჩვენში კი სწორედ მარქსისტული „შეგნებაა“ ყველაზედ უფრო გავრცელებული. მართალია ნ. ჟ—ია და მისი თანამოაზრენი წამდაუწუმ გაიძახიან—ჩვენ კი არ მოვახვიეთ ხალხს პროგრამა, პროგრამა თვითონ ხალხმა მოგვახვია თავზეო, მაგრამ ეს მხოლოდ მათ... თავდაბლობას მოწმობს. და თუ მართლა „ხალხის პროგრამით უნდა იხელმძღვანელონ, მაშინ ეროვნულ „კულტურულ“ მოთხოვნებსაც უნდა დაანებონ თავი.

მართლაც, სად გაიგონა ნ. ჟ—იამ „ხალხისაგან“, რომ მას სურს ეროვნული სკოლა, ქართული მწიგნობრობა და სხვა ქართული კულტურული დაწესებულებანი? ერთადერთი საყურადღებო ანკეტა კრიმგირეიმ მოახდინა გურიაში: გურულებმა მოთხოვნები აუარებელი წარუდგინეს მთავრობის წარმომადგენელს, სხარტულად და ხერხიანად იყო გამოთქმული თითოეული მათგანი, მაგრამ არავის კრინტი არ დაუძრავს არც ქართულ სკოლაზე, არც სხვა კულტურულ დაწესებულების საჭიროებაზე. ეს შესანიშნავი მარმონია მხოლოდ ერთმა ეკ

*) იქვე ავტორი განაგრძობს: „რამდენადაც ძველ მფლეველთა ნაციონალური დრეშა ამ ფარგლიდან გამოდიოდა და მას ნაციონალურ პოლიტიკას უმატებდა, ე. ი. ნაციონალისტურ პოლიტიკურ პარტიად ზდებოდა, იმდენად ის ნიადაგს ვერ პოულობდა... ანტირუსულ და ანტისომხური მიმდინარეობა ჩვენში ყოველთვის ინტელიგენციის გამოგონება იყო“. სულ პატარა დაკვირვებაა საჭირო, რომ დავინახოთ ცსებათა... ბავშვური არევ-დარევა: სულ ერთის გვერდის მანძილზე ავტორის მადლიან კალმის ქვეშ ნაციონალური თვითარსებობა ნაციონალისტურ პოლიტიკად გადაიქცა, ნაციონალისტური პოლიტიკა ანტირუსულ და ანტისომხურ მიმართულებად მოინათლა და გამოვიდა, რომ ნაციონალური [illegible]

ადმინისტრაციას არ შეატყობინეს და ამას გარდა დამალულთ ხელი შეუწყეს. ამათ მ„საჯათ ყოველივე უფლების ჩამორთმევა და ხუთ-ხუთი წლით კატორგაში გაგზავნა, სასამართლომ გაამართლა ალავიძე, რევაზ ციციშვილი და გიორგი თაქთაქიშვილი. სასამართლომ ამასთანავე დაადგინა, საქმის საწარმოებლის ხარჯის გარდა, გადახდეთ 315,000 მ.ნ. ყველას, ვინც დამნაშავედ იქნა ცნობილი. ბრალმდებლის ამხანაგმა პროტესტი გამოაცხადა, რომ საქმეს განვასაჩივრებო და თავმდებობა ისევ ძველ პირობებში დარჩეს ცაგარლისა, გედევანიშვილისა და ქართველიშვილის შესახებაო.

✦ **„ფასკუნჯი“.** „ფასკუნჯის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ: „ტეხნიკურ დაბრკოლებისა გამო ვერ მოხერხდა, რომ „ფასკუნჯი“ გამოსულიყო ორშაბათობით და თანაც გაზეთის ხასიათი ჰქონოდა. ამიტომ უმჯობესად დავინახეთ მისი ჟურნალად გადაკეთება; ამ სახით და მასთანავე გაფართოვებულის ფორმატით „ფასკუნჯი“ გამოვა კვირას, 30 ნოემბერს. ჟურნალი იქნება უპარტიო და მხოლოდ სალიტერატურო-სამხატვრო“.

✦ **მამულების დათვალიერება.** 21 ნოემბერს ქალაქის წარმომადგენლებმა, ბანკების მამულების დამფასებლებმა ნაძალადეველთა მიერ არჩეულ წარმომადგენლების თანადასწრებით, დაათვალიერეს ნაძალადევში ქალაქის ის ადგილები, რომელიც ნაძალადეველებმა უნდა გამოისყიდონ. ამათ უნდა გაიცნონ ღირებულება მამულისა. ამ დღეს ვერ მოასწრეს მთელი მამულების დათვალიერება.

✦ **რკინის გზა ტფილისიდან კავკავამდე.** „ბაკ. ეხო“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან „სათათბიროში შეაქვთ კანონ-პროექტი რკინის გზის შესახებ კავკასიონის მთაზე ტფილისიდან კავკავამდე“.

✦ **საიუბილეო ქალალდი.** წ. კითხვის საზოგადოებაში იყიდება აკაკის იუბილეისთვის ძვირფასი საალრესო ქალალდები, მშვენივრად დახატული ფერადებით. ნახატი გადოღებულია მეთერთმეტე საუკუნის, ქართულ სახარებიდან. თითო ცალი სამ მანეთად ღირს.

✦ **ხმოსნის გამორიცხვა.** გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფ. ქალაქის საბჭოს, გამორიცხოს ხმოსნობიდან ბ-ნ თოფჩიანი.

ლობამ დაარღვია (როგორც გვახსოვს, ხიდისთავში) ქართული სკოლა მოითხოვა, დაბალი და საშუალო. „ცნობის ფურცელმა“ სიხარულით აღნიშნა ეს... მოულოდნელი ფაქტი, მაგრამ მალე ცივი წყალი გადაასხეს რედაქციას და ხიდისთავლებსაც უმაღლესი საყვედური მოუვიდათ.

დავანებოთ თავი გურიას და იმ პროგრამას, რომელიც გურულებმა მოახვიეს თავზე იქ მომქმედ პარტიას; შეეხედოთ საზოგადო ქართულ სინამდვილეს. დეპუტატმა ჩხეიძემ საათაბიროს ტრიბუნიდან, სხვათა შორის, ერთი ისტორიული ფრაზა წარმოსთქვა: მამაჩემი სულ იმას ჩამჩიჩინებდა, თუ გინდა კაცი გამოხდიდე, რუსული ისწავლეო: ეს შეხედულება ტიპიურია ქართულ ცხოვრებისათვის. მარტო დეპუტატის მამა როდი ჰფიქრობს ეგრე; მას ბევრი, ძალიან ბევრი თანამოაზრე ჰყავს*) როგორც სოფელში, ისე ქალაქშიაც. რუსულ ლაპარაკის ცოდნა განათლების, განვითარების აუცილებელ ნიშნად არის მიჩნეული; თუ რუსული არ იცი, უვიცი და გაუნათლებელი ხარ. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია, ჩვენი ქალაქის სკოლებს უდგეთ ახლო: მშობელი სულ იმის მეცადინეობაშია, შვილი უთუოდ რუსულ სკოლაში მისცეს—ქართულ სკოლას რა თავში ვიხლი, ჩემი შვილი რუსულ სკოლაში მინდა გავზარდო. ჰკითხეთ სკოლის გამგეებს, რამდენი ასეთი შემთხვევა, რამდენი დავიდარაბა და გაუთავებელი მოლაპარაკება აქვთ ბავშვების მშობლებთან. და რას გვირჩევენ ეხლა ნ. ე—იას თანამოაზრენი, ავყვეთ ხალხის აზრს, „მოვიხვიოთ თავზე“ მისი სასკოლო პროგრამა და ეარვყოთ ეროვნული სკოლა, თუ განვაგრძოთ ბრძოლა როგორც ხალხის ასეთ „მიმართულებასთან“, ისე ხალხის გადაგვარების მოსურნეებთანაც? რას გვეუბნება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ისტორია? სადა სჩანს აქ „ხალხი“ ამ ოცდა-რვა წლის განმავლობაში? მაშ აქაც მეტი არა დაგვრჩენია, „თავზე მოვიხვიოთ“ ხალხის პროგრამა და დავძახოთ—ძირს უმთავრესი ქართული კულტურული დაწესებულებაო!

ხალხი არც სიბრძნის წყაროა, არც უგნურების ბუდე. მას ბევრი რამ საგულისხმიერო ესმის და ვინც ამ სმენას აბუჩად აიგდებს და ყურს არ ათხოვებს, ჭკუას წააგებს; მაგრამ ხალხმა კიდევ უფრო მეტი არ იცის და ან საიდან უნდა იცოდეს, როცა ცოდნის შეძენისათვის არც დრო, არც მოცალება და არც შესაფერი დაწესებულება აქვს. ვინც გაიძახის, ხალხი ბრძენია, ისისაგან უნდა ვისწავლოთ ყველაფერი, ჩვენ მას ვერაფერს ვასწავლითო, სტყუის, პირფერობს და მლიქვნელობს. უკვე ჰეი ნესი არ იყოს, ხალხსაც ჰყავს მლიქვნელი და პირმოთნე კარის-კაცები, რომელნიც ხშირად ნამდვილი კარის-კაცსაც გადააჭარბებენ მლიქვნელობ პირმოთნეობაში. W.

*) მკითხველი მიმხვდარი უნდა იყოს, ერიმ ჯერ „რუსული ისწავლე“ „განათლდი და განვითარდის“ არ ნიშნავს, მიხი მთელი შინაარსი წერა-კითხვის და ლაპარაკის კარგი ცოდნაა.

✦ **შუამდგომლობა კახეთის გზის შესახებ.** ტფ. ქალაქის თვითმმართველობამ უკვე გაჰგზავნა პეტერბურგში შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ კახეთის რკინის გზა, რომლის გაყვანაც განზრახულია, ტფილისიდან დაიწყოს და არა რომელიმე სხვა სადგურიდან.

✦ **გადასახლებული სომხები.** „კასპის“ სიტყვით, ბევრი ემიგრანტი სომხები, რომელნიც ოსმალეთში კონსტიტუციის შემოღების შემდეგ, კავკასიიდან სამშობლოში დაბრუნდა, უკან კავკასიაშივე ბრუნდება, რადგან თურქები წართმეულ ადგილ-მამულს არ უთმობენო. როგორც „ტიფ. ლის.“-ს სოხუმიდან ატყობინებენ, ყოველ დღე 30—40 ემიგრანტი სომეხი ბრუნდება თურმე გემებით სამშობლოში. ოსმალეთში კონსტიტუციის გამოცხადების დღიდან ორი ათასამდე სომეხი დაბრუნდა სამშობლოში სოხუმის ოლქიდანაო.

✦ **საერობო დარაჯი ხაზინის ხარჯით.** ნამესტნიკს შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ 1,800,000 მანეთი, რომელიც საერობო დარაჯსა ხმარდება, ხაზინამ იკისროს. დღემდე ამ ხარჯს საერობო თანხიდან ისტუმრებდნენ.

✦ **თედო სახოკიას გადასახლება.** ბათუმიდან გვწერენ: 17 ოქტომბერს ქუთაისიდან ჩამოიყვანეს და სხვებთან ერთად ციმბირისკენ გაგზავნეს თედო სახოკია. არ ვიცით რა მიზეზით, მას ბორკილები ჰქონდა გაყრილი, დღემდე პოლიტიკურ დამნაშავეებს ჩვეულებრივ უბორკილოდ ისტუმრებდნენ. ამბობენ, ეს განკარგულება მოუხდენია ქუთაისის ადმინისტრაციისაო. მოსკოვამდე ასე წაიყვანენ, იქ კი, ამბობენ, ბორკილებს მოვსხნითო- სახოკია ყოჩაღად იყო, თუმცა ციხეში ჯდომას მაინც თავისი კვალი დაუჩნევია. ტუსაღს თავისი არც საბანი ჰქონდა, არც ტანსაცმელი-ნება არ მოუციათ. სახოკიასთან ერთად მიჰყავდათ გადასახლებული ერთი სვანი, ისიც პოლიტიკური“.

✦ **მეურნეთა კრების გადადება.** როგორც აღვნიშნეთ მთავრობამ ნება დართო კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას 7 დეკემბრისთვის მოიწვიოს მეურნეთა კრება. განსახილველ საგანთა სიიდან მთავრობას გამოურიცხავს საკითხი ერობის შემოღების შესახებ, აგრეთვე დროებით ვალდებულებისა და მიწის სიკოტავის შესახებ. რადგან 7 დეკემბრამდე ცოტა დრო დარჩა და ველარ მოესწრება კრების მოწვევა საზოგადოების საბჭომ 21 ნოემბერს დაადგინა, აღძრას ხელახლა შუამდგომლობა კავკ. ნამესტნიკის წინაშე, რომ საზოგადოებას ნება მიეცეს, მეურნეთა კრება გადაიტანოს მომავალ წლის 4—22 მარტისათვის. ამავე დღეს საბჭომ მოისმინა ვიცე-პრეზიდენტის ქ. ა. ვერმიშევის წერილი ვიცე-პრეზიდენტობიდან გადადგომის შესახებ და დაადგინა ერთ მომავალ კრებაზე აირჩიოს ახალი ვიცე-პრეზიდენტი.

✦ **ქართული წარმოდგენები.** 20 ნოემბერს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას თათბირი ჰქონია სეზონის დაწყებაზე. გამგეობამ დაადგინა, სეზონი წარმოდგენებისა დაიწყოს 30 ნოემბერს, ამ დღეს დილის 11 საათზედ გადიხდიან პარაკლის და აკურთხებენ თეატრის შენობას, საღამოთი კი წარმოადგენენ „სამშობლოს“ სამშობლოსთვის დამზადებულია ახალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსი.

✦ **ქართული თეატრი.** ქართულ თეატრის ახალი შენობა უკვე დამთავრდა. ორშაბათს, 24 ნოემბრისათვის, თეატრის დასათვალიერებლად მოწვეულია საგუბერნიო და ქალაქის ტეხნიკოს-ინჟინერთა კომისია.

✦ ქუთაისის საცდელ მინდვრის გამგემ გ. კ. ჯაფარიძემ აცნობა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ იგი უარს ამბობს ტფ. საბაღლნო სკოლის გამგეს თანამდებობაზე.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ; „ნაძალადევში მცხოვრებმა რამდენმამე პირმა შეადგინა ქართულ გალობა—სიმღერის გუნდი. ლოტბარად მიიწვიეს მასწავლებელი კ. ჩარკვიანი, რომელმაც აღუთქვა უსასყიდლოდ, შეასწავლოს გალობა—სიმღერები, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე მღ. მიხეილ მახათაძე, რომელმაც თანაგრძნობა აღმოუჩინა და დაუთმო სკოლა გალობა—სიმღერის შესასწავლად.

✦ ვერის ხიდი საჯარო ვაჭრობით სვანიშვილს დარჩა. საიჯარო ფული 26,300 მანეთია.

✦ დღეს, 23 ნოემბერს, დრამატიულ კურსების ზალაში (მიხეილის ქ. № 91) ქართულ სახალხო სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ავქ. ცაგარლის კომედია „ციმბირელი“.

✦ ჰიათურიდან გვწერენ: კვირას, 23 ნოემბერს ადგილობრივ თეატრში სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით გაიმართება რუსულ ქართული წარმოდგენა. რუსულად: „სეკრეტნი პრედპისანიე“ და „პრედლოჟენიე“, ქართულად: „მაფიკოს“ 3-მე მოქმედება და „არც აქეთ არც იქით“ და დივერტისმენტში წაიკითხავენ სცენებს ვაჭრებისა და გლეხების ცხოვრებიდანა.

ქუთაისი

✦ **პურის ნიხრი.** ქუთაითური მეფურნეები უკმაყოფილონი არიან ქალაქის საბჭოს მიერ პურის ნიხრის დაკლებით და თხოულობენ, რომ არამც თუ ძველი ნიხრი დარჩეს, არამედ მიუმატონ კიდეც. ამ ჟამად ისინი პურს ისევ ძველი ნიხრის მიხედვითა ჰყიდიან.

✦ **ახლად გაწვეული ჯარისკაცები.** ქუთაისში ჩამოიყვანეს შორაპნის მაზრიდან წელს გაწვეული ჯარის კაცები, სულ 769, რომელნიც რამდენისამე დღეს აქ დარჩებიან. ქალაქის გამგეობას აქირავებინეს მათ მოსათავსებლად სვიმონოვის სახლი, ტფილისის ქუჩაზე.

✦ **ბინის ფულის მომატება.** ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი სთხოვს ქალაქის გამგეობას, საბჭომ მიუმატოს ბინის ფული მის თანაშემწეს დვეჟილნის.

✦ **გამგეობის წევრის არჩევანი.** 19 ნოემბერს ქალაქის საბჭომ, 23 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 3 ხმისა, ქალაქის გამგეობის წევრად აირჩია ისევ კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძე.

✦ **ქუჩების მოუწყობლობა.** ქუთაისში კარგი ამინდების შემდეგ ძლერ აციოდა. საშინელი თოვლჭყაპია. ქუჩებში სიარული ფეხით ძლიერ ძნელია, რადგან ტალახიან თოვლითაა სავსე. ამ სიძნელეს ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ტროტუარები ზოგს ალაგას ქუჩებზე უფრო დაბლაა გაკეთებული, რის გამო წყლითაა სავსე. ქუჩების ასეთს მდგომარეობაში დიდი დანაშაული მიუძღვის ქალაქის გამგეობის საალმშენებელო ნაწილს და თვით გამგეობასაც, რომელნიც ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევენ ქუჩებს კეთების დროს.

✦ **ქალაქის საბჭო.** 19 ნოემბერს ქალაქის საბჭომ ერთხმად უარჰყო გუბერნატორის წინადადება პოლიციის სამმართველოსთან დაარსებულ მეთვალყურე განყოფილებისათვის (сыскное отдѣленіе) ბინისა და შეშა-ნავთის მიცემის შესახებ. ხსენებულ განყოფილებისათვის, როგორც ამ განყოფილების უფროსს უთქვამს, საჭირო ყოფილა რვა ან შვიდ ოთახიანი ბინა, რაც ქალაქს დაუჯდება თურმე წლიურად არა ნაკლებ 1000 მანეთისა. ამავე დღეს საბჭომ დაადგინა—შუამდგომლობა აღძრას ადგილობრივი მთავრობის წინაშე შესახებ იმისა, რომ ქალაქის გამგეობას ნება მიეცეს გახსნას ქუთაისში მეხუთე ნორმალური აფთიაქი; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კანონის ძალით ქალაქს არ შეუძლიან მეორე აფთიაქის გახსნა, (ერთი აფთიაქი უკვე აქვს ქალაქს), ნება მიეცეს მას გახსნას არსებულ აფთიაქის ფილიალური განყოფილება.

✦ **ცნობები.** ქალაქის გამგეობას ყოველწლიურად ეძლევა სახელმწიფო ხაზინიდან დახმარება 10,000 მანეთი ჯარისათვის ბინების დასაქირავებლად. რადგან 1910 წლის 1 იანვარს ამ დახმარებას ვადა გაუდის, გუბერნატორი წინადადებას აძლევს გამგეობას, თუ ხაზინის დახმარებას კიდევ საჭიროებთ, საბჭომ შუამდგომლობა აღძრას, რომ ეს დახმარება სამი წლის ვადით კიდევ გაგრძელდეს, და ქალაქის დადგენილება ამ საკითხის შესახებ მოხსენდეს მას არ უგვიანეს მდგომარე წლის 25 დეკემბრისა. ამასთან გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, ხსენებულ დროისთვის წარედგინოს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენს ხარჯავდა ქალაქი ნამდვილად ჯარისათვის ბინების საქირავებლად წარსულ სამი წლის განმავლობაში, აქედან რამდენი იხარჯებოდა ქუთაისში დაბინავებულ ჯარის ბინებისათვის და რამდენი ადმინისტრაციის დასახმარებლად მოწვეულ ჯარისთვის; რამდენი ჰქონდა ნამდვილი შემოსავალი ქალაქს ხსენებულ დროის განმავლობაში და რამდენი ხარჯი; ამასთან უნდა აღნიშნულ იქმნეს რაოდენობა სავალდებულო და არა სავალდებულო ხარჯისა, რამდენი ვალი აქვს ქალაქს, რამდენი სათადარიგო თანხა და სხ.

✦ **საყასბოს იჯარით გაცემა.** ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია, რომ იჯარით გასცეს ქალაქის საყასბო და ბუდკები.

ოსმალეთი

ოსმალეთის ფინანსები

ქვეყნის პოლიტიკური აღორძინება შეუძლებელია, თუ ეკონომიურადაც არ აღორძინდა იგი. ამიტომ ოსმალეთმა უთუო უნდა განავითაროს თავისი წარმოება, მოაწეს-რიგოს ფინანსები და თავი დააღწიოს ევროპის ეკონომიურ მონობას, რომელიც ძალღონეს აცლის მას.

დიდი მუშაობა დასჭირდება ოსმალეთის პარლამენტს ამ მიზნის მისაღწევად. ოსმალეთის ეხლანდელი ფინანსიური წესები მეტად დაძველებული და უვარგისია. გადასახადების ერთნაირობა არ არსებობს: სხვა და სხვა ერსა და პროვინციას სხვა და სხვა გადასახადები ადევთ და იმპერიის ნახევარი. მესოპოტამია, არაბეთი და ლივანი—თითქმის თავისუფალია ხარჯისაგან. არ არსებობს კასის ერთიანობა: ნაირ-ნაირი გადასახადი შედის ნაირ-ნაირ სამინისტროებსა და დაწესებულებებში და არა სახელმწიფო ხაზინაში. არ არსებობს ანგარიში და კონტროლი. საფინანსო მრჩეველმა ფრანგმა ლორანმა (ამ ახლო ხანებში მოიწვიეს) მოსთხოვა ფინანსთა სამინისტროს ცნობები მიმდინარე ვალების შესახებ, მაგრამ სწორე ცნობა ვერ მიიღო.

გადასახადები მთელის თავის სიმძიმით აწვება მიწად-მომქმედს იმ დროს, როდესაც ვაჭრობა, მრეწველობა და კაპიტალი თითქმის განთავისუფლებულია გადასახადებისაგან. თითქმის თავისუფალია აგრეთვე სახელმწიფო გადასახადებისგან სტამბოლიც,—ეს მთელს იმპერიაში ყველა ქალაქებზე უმდიდრესი და დასახლებული ქალაქი. გადასახადების მოკრეფის წესი დაძველებულია. „ათისთავი“—იჯარითაა გაცემული. სახელმწიფო იჯარები ეძლევათ მსხვილ იჯარადრებს, რომელნიც თავიანთ მხრივ ამ იჯარებს ნაწილ-ნაწილად აძლევენ წვრილ იჯარადრებს. სახელმწიფო ფულის ხარჯვასა და კონცესიების გაცემაში სუფევს თვითნებობა და მიდგომა. სახელმწიფო ვალის გასტუმრებას სჭირდება ყოველ წელს 25 პროც. მთელის შემოსავლისა.

მეტად მძიმე საქმეა ფინანსების რეფორმა და ეს კარგადაც ესმის ოსმალეთის ფინანსთა სამინისტროს. ამ სამინისტროს ერთ-ერთ დეპარტამენტის უფროსს უთქვამს „რუსკ. ვედომ.“-ის კორესპონდენტისთვის:

„ჩვენ ვიცით, რასაკვირველია, თუ რა ბოროტებას წარმოადგენს „ათისთავის“ იჯარით გაცემა. ხალხი დიდძალ ფულს იხდის ზედ-მეტად, ხაზინა ჰკარგავს, და მხოლოდ იჯარადრები არიან დიდ ხეირში. მაგრამ რომ ეს იჯარით გაცემა მოისპოს, საჭიროა მის ნაცვლად ჯერ სხვა რამ წესი შემოვიღოთ. ეს ადვილი არ გახლავთ ჩვენს უგზო-უკვლო ქვეყანაში, მეტადრე ეხლანდელ პირობებში. ჩვენ ფული გვაკლია და ამიტომ იმედი არაა, რომ მალე მოვახერხოთ საკმაო მოხელეების დაქირავება ხარჯების შესაკრეფად. ამ ჟამად მაკედონიაში საცდელად შემოვიღეთ გადასახადების მოკრეფის ახალი წესი: „ათისთავი“ ყველა სოფელმა უნდა შემოიტანოს თითონ იჯარადრის დაუხმარებლივ! თუ ეს წესი გამოდგა, მაშინ ყველა მიყრუებულ ადგილებშიაც ამნაირადვე მოვკრებთ ხარჯს, ხოლო რკინის გზების ახლო-მახლო-კი მოხელეებს მოვაკრეფინებთ. მაგრამ ჯერ დიდი დრო გავა, სანამ გადასახადის იჯარით გაცემა სრულიად მოისპობა ჩვენში“.

ამნაირად ფინანსების რეფორმა აუცილებლად საჭიროა ხაზინის შემოსავლის გასაძლიერებლად, ხოლო ხაზინას ამ ჟამად არა აქვს საკმაო ფული ამ რეფორმისთვის.

მაგრამ უმთავრესი დაბრკოლება კიდევ სხვა არის. ფინანსების მინისტრებისათვის გაცილებით უფრო საშიში ისაა, რომ ოსმალეთი დიდიხანია რაც თავის საქმეების ბატონი აღარაა. ევროპამ, რომელიც ნიადაგ ფულს აძლევდა სესხად მფლანგავ და უთავბოლო სულთნებს, ხელ-ფეხი შეუკრა ოსმალეთს და მწველელ ფურად გადააქცია ეს ბუნებით მდიდარი ქვეყანა. ხელშეკრულობითა ძალით ევროპიელებს უფლება აქვთ უბაჟოდ და უხარჯოდ ივაჭრონ ოსმალეთში; მათ მიერ შეტანილ საქონელს მხოლოდ მცირე სადამოჟნო გადასახადი აწევს. ოსმალეთს არა აქვს უფლება სახელმწიფოთა დაუკითხავად—მოუმატონ ამ სადამოჟნო გადასახადს ან სამრეწველო გადასახადი დააწესოს. თუ ვინიცობაა ევროპა დასთანხმდება ან ბაჟების მომატებას ან სამრეწველო გადასახადის დაწესებას, მაშინაც ეს ახალი შემოსავალი უნდა გადაეცეს საერთაშორისო ადმინისტრაციას და არა ოსმალეთის ხაზინას.

რაკი ბაჟების მომატება და სამრეწველო გადასახადების დაწესება ევროპაზეა დამოკიდებული, ამიტომ ოსმალეთის პარლამენტს ძლიერ გაუჭირდება თავის საკუთარ მრეწველობის შექმნა, რომელიც შეუძლებელია, თუ სადამოჟნო ბაჟები არ დაწესდა. გარდა ამისა, ოსმალელ მწარმოებლებს ევროპიელ მწარმოებლებისა, რეობის გაუმჯობესება, რადგან ესეც შეუძლებელია, თუ იმ გადასახადების ნაწილი, რომელიც ამ ჟამად აწევს მარტო მხვნელ-მიწისველ ხალხს, არ გადაიტანეს ვაჭრობასა და მრეწველობაზე.

ამ ჟამად ოსმალეთის მთელი შემოსავალი არ აღემატება, 170 მილ. მანეთს, რომლიდან სახელმწიფო ხაზინაში შედის მხოლოდ 125 მილ. დანარჩენი 45 მილიონი მანეთი-კი ეძლევა საერთაშორისო ადმინისტრაციას.

ამიტომ ადვილი გასაგებია ის უმოწყალობა, რომლითაც ახალგაზდა ოსმალთა მთავრობა ამკირებს უმაღლეს მოხელეების ჯამაგირებს—პენსიებს და თვით სულთანის ხარჯებს. ყოველ დღე ვკითხულობთ გაზეთებში, რომ ამდენ-ამდენი გენერალ-ადიუტანტი დაითხოვესო, ამდენ-ამდენი სასახლის ეკონომი და სხვა.

მართალია ძლიერ საქებია ეს ყაირათი, მაგრამ მარტო იგი არა კმარა ოსმალეთის ფინანსების გასაუმჯობესებლად. განთავისუფლება იმ ხელშეკრულობათაგან, რომელნიც ხელ-ფეხს უკრავენ ოსმალეთის ეკონომიურ დამოუკიდებლობას,—არის აუცილებელი პირობა მისი აღორძინებისა, და მაშასადამე უმთავრესი საგანი ახალგაზდა ოსმალეთის საერთაშორისო პოლიტიკისა. („რ. ვ.“)

გენერალი რეინბოტი, პოლიცია და ქართამები

რუსეთის გაზეთებმა მეტად საინტერესო ამბები მოიტანეს. სენატორ კორნილოვის რევიზია მოსკოვში დამთავრდა. რევიზიის შედეგი ეგეფასათვის მოუდოდნელი აღმოჩნდა. თითქმის მთელ მოსკოვის პოლიციას და, ასე კი ვსთქვეთ, მოსკოვის გრადონაჩალნიკად ნამეფობს გენერალ რეინბოტსაც სამართალში აძლევენ. ამას ოხოულობს სენატორი კორნილოვი.

მოსკოვში ეგეფაფერი მშვენივრად მიდიოდა, სანამ ერთი ამბავი არ გამოტეგრა. სხვათა შორის, მოსკოვის მახლობლად გაძარცვეს ერთი მეშამფეი. ამ საქმის აღმოჩენას შეუდგა როგორც მოსკოვის, ისე რიაზანის მაძებარი პოლიცია (სისხი კარნოფილება). რა კაკეთა მოსკოვის პოლიციამ მცარცველებს აღმოსაჩენად, არვინ იცის, ხოლო ერთ რიაზანელ აგენტს ბედმა გაუღიმა და მძარცველების კვალს მიაგნო. დიდი ხანი ზდა რიაზანელმა მცარცველებს და ბოლოს, როგორც იოო, მძარცველების ბინას მოსკოვში მიაგნო. რიაზანის აგენტი იმ წამსვე მოსკოვის მაძებარ პოლიციის სადგომისაკენ გაეშურა, სადაც იმ დროს მორიგეობდა მაძებარი პოლიციის მოხელე დ. აგენტმა დ—ს დახმარება სთხოვა, მაგრამ დ—მ პასუხი არ მისცა და მიუსედავად იმისა, რომ, როგორც მორიგ მოხელეს, არ შეეძლო სხვაკან წასვლა, სადაც გაჭირა რიაზანელმა აგენტმა არ მოისვენა და მაძებარ პოლიციის უფროსი მოხელე სტეფანოვი მონახა, რომელსაც ეგეფაფერი გადასცა. სტეფანოვი და რიაზანელი აგენტი იმ წამსვე მცარცველების ბინისაკენ გაეშგზავნენ. მცარცველების ბინა აღმოჩნდა ზემოსსენებულ მოხელის დ—ს ბინა სადაც დ—ს გარდა მისი კომშინიონები იყვნენ. სწორედ ამ სახლში მოგქონდათ მცარცველებს გატაცებული ნივთები. დ—მ 5,000 მანეთი აძლია სტეფანოვს და რიაზანელ აგენტს, რომ გაჩუმებულიყვნენ, მაგრამ სტეფანოვმა უარი სთქვა. საქმე მაძებარ პოლიციის უფროსამდე მივიდა, სადაც სტეფანოვმა წაიყვანა დ. აქ დ—მ უფროსს პირში უთხრა, რომ თვითონ თქვენც მიიღეთ თქვენი ნაწილი. სტეფანოვი ამ ამბავმა ძალზე გააკვირვა. მეორე დღეს სტეფანოვი დაიბარა მოსკოვის ეთოვლმა გრადონაჩალნიკმა, რომელმაც განუცხადა, რომ მიზეზის აუხსნელად სამსახურიდან გეთხოვოთ. ამის მერე სტეფანოვი პეტერბურგს გეეშგზავნა. სადაც უეჭველია გაკიცხავ, ვისაც ჯერ არს. აი, ამან გამოიწვია რევიზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევიზიას პირველ ნაბიჯზევე მოუდრეკელი გარემოებანი დაჰხვდა. ქრთამების აღების სისტემა სამაგალითო აღმოჩნდა. არავინ არავის არაფერს უშიშდა. ეველას თავის კანკერძოებული ადგილი ჰქონდა ამორჩეული, საიდანაც დენისაც უნდოდა, იმდენს იღებდა. ეველაზე მეტად კი თავი ისახელა ბოდიგმეისტერმა კოროტკემ, რომელმაც ოდ მოკლე ხანში 100,000 მანეთზე მეტი შეაგროვა. უპირველესი ეურადღება მაძებარმა ბოდიცამ მიაქცია ებებს. გენერალ რეინბოტის დროს ებები სოკოებივით გაძრავდნენ. ტო ტვერის ქუჩაზე, სადაც გენერალ-გუბერნატორი სცხოვრობდა, 10 ე კლუბი დარსდა. იმ კლუბებში ეველაერს სისაძაგლეს სჩადიოდნენ, ბოცა კი სელს აფარებდა. კლუბების ტრონებს მხოლოდ ათასობით ფულსა ხოვდნენ, ამის შემდეგ ხმის გამცემი ერავინ იყო. მართალია, ფულს იღებდნენ „საქველ-მოქმედო მიზნისთვის“, მაგრამ არავითარი გასამართლებელი საბუთები, თუ რა საქველ-მოქმედო მიზნზე დაიხარჯა ეს ფული, არ არის. ოდენობა „საქველ-მოქმედო მიზნისთვის“ შეგროვილ ფულისა კლუბების ბარებიდანაც სჩანს, რომელზედაც ეტეს შემოხვევაში თვითონ რეინბოტს უწერია ელი. მაგალითად, „ნეცთა კლუბის“ თავმჯდომარემ რეეიზიას აჩვენა რეინბოტის მიერ ხელმოწერილი 17,000 მანეთის ბარათი.

ბოდიცმეისტერი კოროტკის შემოსავლის უმთავრესი წყარო საროსკინო სახლები იყო. ბოდიცმეისტერი კოროტკი ამ სახლებიდან „კანონის სასაგ ასრულებას“ თხოულობდა. ამ მიზნით კოროტკი მოულოდნელად ესტემრებოდა ხოლმე საროსკინო სახლებს და ბასპორტებს სთხოვდა იქ ოფებს. მოგეხსენებათ ზოგიერთისთვის არაფერი სასურველია ამისთანა „სახლებში“ დაწერა. ამ გვარი სახლები მით უფრო ბევრ „კლიენტს“ ბიდავს, რაც უფრო ამისთანა ამბავი ნდებას ხდება. ეს ბოდიცის კარგად ესმოდა და ამიტომ „ბასპორტების მოუთხოვნელობისთვის“ შესაფერ ფულს იღებდა საროსკინო სახლის ბატრონებისაგან. საროსკინო სახლებს ბოდიცა ერთმეორე ორმოცდა ათ თუმნიდან ხუთას თუმნამდე თითოს. ქრთამის აღება ისე გავრცელდა და რომ ამ მოვლენას ეველანი ნორმალურად სთვლიდნენ. უწმინდესთვის ფული იყო საჭირო. ერთ მშვენიერ დღეს ადმინისტრაციამ განიზრახა მოსკოვის ერთი უბნიდან საროსკინო სახლების გადატანა ალბათ მცხოვრებთა ზნეობის ასამაღლებლად. საროსკინო სახლების ბატრონები დაფაცურდნენ. როგორც იყო, თავიანთ შორის შეჰკრიბეს 100,000 მანეთი და ერთ ნოტარიუს ჩაბარეს. ე�eველეერი ეს ადმინისტრაციას ეცნობეს. მთავრობა თუმცა არაფერს ერიდებოდა მაგრამ ასეთ ოფიციალურ ფულის მიღებაზე უარი სთქვა. ამის შემდეგ საროსკინო სახლების ბატრონებმ ხერხს მიმართეს. გაკეთებინეს სტატიაგ ჩასდეს 100,000 მანეთი და გადასწეიტეს, ასე მიერთმათ ფული ადმინისტრაციისთვის. რათა ამ უკანასკნელს გაეგო, რომ ხატში ფული იყო, ფულის გამდებებმა ეარტისტ-ქალდ-ს მიმართეს რომელიც ძალიან დახელოვნებული იყო გრადნიჩაგნიკ რეინბოტან. დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ, რადაც მიზეზით ამაზედაც უარი მიიღეს. ამის შემდეგ საროსკინო სახლის ბატრონებმა იმ კომისიას მიმართეს, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საროსკინო სახლების ქალაქიდან გადატანის საქმე. მისცეს ამ კომისიას 30,000 მანეთი და ეველაფერი გაიჩარხა. საქმე იმაშია, რომ სახლები ქალაქ გარეთ უნდა გადაეტანათ. სადღაც ქუჩა, სადაც საროსკინო სახლები იმეოფება, ქალაქის ძველ გეგმით ქალაქის საზღვარს შეადგენს. ეს დაიბეგა, ხელზე კომისიამ და დაადგინა, საროსკინო სახლები ქალაქის საზღვარზეა და არა ქალაქშიო. ამის გარდა ახალი საროსკინო სახლებიც დარსდა—ქალაქის შუა გულში, მაგალითად, ტვერის და სადოვი ქუჩების კუთხეში, გუბერნატორის სახლის ახლო. მაგრამ მალე საქმე სხვანაირად დატრიალდა. რევიზიაზე ხმები გავრცელდა. მთავრობამ მართალა გადეგნა საროსკინო სახლები ქალაქს გარეთ, მოტეუებულმა ბატრონებმა ფულის დაკარგვით გამწარებულებმა, ეველაფერი ანცნობეს რევიზიას.

ეი ასეთი ამბები გამოარკვია თურმე რევიზიამ, როგორც „რუს. სლოვო“ და სხვა გაზეთები კადმოგვცემენ.

უცხოეთი

ეროვნული ბრძოლა ავსტრიაში

დაახლოებით ორი თვის წინ ჩეხების დეპუტატებმა ბოჰემიის სეიმში მოითხოვეს ჩეხურ უნივერსიტეტის დაარსება ქალ. ბრიუნში (მორავიაში). გერმანელი დეპუტატები მედგრად წინააღმდეგნენ ამ მოთხოვნას, მით უმეტეს რომ მაშინდელი ბეკის სამინისტრო მხარს უჭერდა ჩეხების სამართლიან მოთხოვნას. გერმანელებმა ობსტრუქცია გამართეს სეიმში და შეუძლებელი გახადეს მისი მუშაობა. მთავრობამ ძალუნებურად დახურა სეიმი. ამის შემდეგ უარესი გამწვავებული ბრძოლა დაიწყო ჩეხებსა და გერმანელებს შორის, ხოლო ეს ბრძოლა სეიმის ნაცვლად გაიმართა თვით ხალხში, ქუჩებში. ბრძოლა თან და თან ძლიერდებოდა და ბოლოს თითქმის ნამდვილ ომად გადაიქცა.

„ეუტ. დეუ. სააგენტო“ იუწყება: წარსულ სამშაბათს ბრაგაში ჩეხებს მეუდი დღე შეტაკება მოსდიოდათ გერმანელებთანა, პოლიციასთან და ჯართან. დიდით დემონსტრაცია მოახდინა ათასხუთასმა სტუდენტმა, რომელებიც წინად თავს არდებდნენ მანიფესტაციებს სტუდენტებმა მოგდიჯეს და ფეხით გაქცევეს ავსტრიული ბაირადები უნივერსიტეტზე და ბევრჯელ ეტაკნენ ჯანდარმერიას. სადამოს დრაგუნებმა იერიში მიიტანეს და ხალხი გარეკეს ბრიკოპის უმთავრესს ქუჩიდან და ვენცესლავის მოედნიდან. ბევრი ხალხი დაიჭრა და დაშავდა. ხალხი რამდენჯერმე შეიკრიბა ხელ-ახლად, შეებრძოლა ჯანდარმებს და ქვებს უშენდა მათ, ბარიკადებს აშენებდა მეზობელ ქუჩებზე და ეკვლიან მავთულით დობავდა მათ. ქვეითა ჯარმა სამუტებით ხელ-ახლად გარეკა ხალხი მოედნიდან, სადაც დარჩა დამტვრეული ჯიხები, ქოდგები, შადრევნების და ტანისამოსის ნაგლეჯები. საღამოთი ბრძოლა უფრო გამწვავდა. ბეური ხალხი დაიჭრა „შეფის ვენახებში“, სადაც ორივე მხარემ 50-ჯერ ესროდეს თოფი ერთმანეთს, და შეფის მოედანზე, სადაც ხალხი შეუდგა ბარიკადების აგებას და სადაც მოქმედებდა ჯარი. გერმანელთა ბევრ სახლსა და ბანკებულებსაში დაამსხვრიეს შუშები.

გერმანელმა დეპუტატებმა ბრაგადან დეპეშით შეატყობინეს მთავრობას ვენაში, რომ ქალ. ბრაგაში ჩეხთა ბრბო გაბატონდაო, და აუდიენცია სთხოვეს იმპერატორს. ბრაგის ქალაქის თავი (ჩეხია) წავიდა ვენას იმპერატორთან მოხსენების წარსადგენად: იგი გაცნობს იმპერატორს ჩეხების თვალსაზრისს ეროვნულ მდგომარეობის შესახებ.

ვენაში 19 ნოემბერს სადამოთი ჩეხებისა და გერმანელების დეპუტატებმა გამართეს თათბირი პირველ მინისტრის ბინერტის თავმჯდომარეობით. ბინერტმა განაცხადა, რომ მთავრობა იძულებული იქნება უკიდურესს დონისძიებას მიმართოს, თუ სახელმწიფოს განსაცდელი მოადგებაო, მით უმეტეს, რომ ავსტრიას გარეშე გართულებაც უშიერებს ამ ჟამად საქმესაო. ჩეხების დეპუტატმა კრამარჟმა ადნიშნა, რომ ადეკვატა გამოიწვია უმთავრესად გერმანელების ობსტრუქციამ სეიმში და გერმანელ სტუდენტების უწესო ქცევამ. გერმანელებს უნდა აეკრძალოთ ესეთი ველური ქცევა ჩეხიის სტატსტო ქალაქის შუა გულში, რადგან იგი ადეკვატებს ჩეხებსაო. თათბირმა დეპეშები გაუგზავნა ორსავ მხარეს ბრაგაში და ურჩია ზომიერება.

უკანასკნელ ცნობებით ქალ. ბრაგა გადაქცეულია სამხედრო ბანაკად. ამნაირივე შეტაკება მოსდით ჩეხებსა და გერმანელებს ჩრდილოეთ ჩეხიასა და მორავიაში, ვერნსა და ოდმიუცში. „კორ. ბიურო“ იუწყება, რომ ბრაგასა და მის განაპირა უბნებში: კარლინენტალსა, სმიხოვსა, მეფის ვენახებს და ნუსლეგიშაში ამბოხების გამო გამოაცხადეს საამხედრო წესები; ამავე დროს აკრძალულ ეველა კრება ქუჩებში და ბრძანება გასცეს, რომ ადგილობრივ კრება სადამოს 8 საათიდან ეველგან დაიკეტოს. აკრძალულია აგრეთვე კავშირების და სხვა ორგანიზაციების ნიშნების ტარება.

ქალაქ რანდიში გადასულეს სხვა დროისთვის გერმანულ უნივერსიტეტის საძირკველის კურთხევა, რომელზედაც დასწერებად უნდა მისულიყო მრავალი სტუდენტი გერმანიიდან. გაზეთები იუწყებიან, რომ 19 ოქტომბერს ბრაგაში რიგერის ბრკში ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. ჩეხიის დეპუტატების შეუძლებლად მიიჩნიეთ ბარლამენტის სესიის გაგრძელება.

ამ ეროვნულ ბრძოლის გამო ჯერ ჩეხი მინისტრები გავიდნენ ბეკის სამინისტროდან და მერე თითონ ბეკიც მოელის თავისი სამინისტროთი იძულებული გახდა ეადმგარიეო სამსახურიდან. ბეკის ნაცვლად იმპერატორმა ბინერეელ მინისტრად მიიწვია ბინერტი, რომელმაც უკვე შეადგინა სამინისტრო. ენახოო, ასალი ბირველი მინისტრი რადან იზამს, მოახერხებს გერმანელებისა და ჩეხების შერიგება, თუ ისიც თან გადაჰყვება ამ მედგარ ეროვნულ ბრძოლას.

რუსეთი

✦ ჩამოხჩობა. სამხედრო სასამართლოებს 16 ნოემბერს ჩამოხრჩობა გადაუწყვეტიათ: ეკატერინენბურგში 1, ვლადიკავკაზში—1, რეველში 2, ვარშავაში 2, ნოვოჩერკასკში 1, კიევში 1, ხარკოვში 3, 17 ნოემბერს: კორონეში 1, ელისავეტოგოროდში 2, ვილნოში 1, ეკატერინოსლავში 3, ხარკოვში 1, რეველში 1, ტომსკში 1, ორიოლში 2.

ჩხრეკა და დაპატიმრება. 14 ნოემბერს პეტერბურგში გაძლიერებული ჩხრეკა ყოფილა დაუპატიმრებიათ აუარებელი მუშა. სხვა და სხვა ადგილიდან წაუღიათ სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის წევრების ადრესები და აუარებელი ლიტერატურა. პოლიციას უსარგებლნია ნაპოვნი ადრესებით და დაუპატიმრებია სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტის წევრები.

✦ კოოპერატიული მოძრაობა. ეკატერინოდარში უკვე დასრულდა ყუბანის ცლქის კოოპერატიულ საზოგადოებათა წარმომადგენელების კრება. კრებაზე გამოირკვა. რომ კოოპერატიულ მოძრაობას ყუბანის ოლქში საკმაოდ მოუკიდნია ფეხი. უფრო გავრცელებული ყოფილა წვრილი კრედიტის საზოგადოებანი, წვრილ კრედიტის საზოგადოებათა თავის უფალი თანა[illegible] უდრის მილიონ[illegible] — [illegible] გადაწყვეტილ[illegible] [illegible] დოებათა კანონი[illegible] შეჰქმნა.

✦ ვარშავის მაგისტრატი. სამოსამართლოს პალატის პროკურორი, პროკურორის შვიდი თანაშემწე. ამდენივე გამომძიებელი, პოლიცია და ჟანდარმები ვარშავის მაგისტრატის ჩხრეკას შესდგომიან. ყველა საბუთის ქაღალდი დაუბეჭდიათ. გაზეთების სიტყვით, მაგისტრატში აუწერელ ბოროტ-მოქმედება სუფევდა. გაუჩხრეკიან აგრეთვე მაგისტრატის მოსამსახურების სადგომებიც. ადმინისტრატიულ განყოფილების უფროს უკვე თავი მოუკლავს. მასდომებია, სახლში დაემალა ზოგიერთი ქაღალდები, მაგრამ იმ დროს შესულან გასაჩხრეკად და იმასაც თავი მოუკლამსაბიროა მოვიხსენიოთ, რომ ვარშავის მაგისტრატი ადმინისტრაციის მიერ დანიშნული კრებისაგან შესდგა. ქალაქ ვარშავას თვითმართველობა არა აქვს.

✦ სამღვდელოებაში. კურსკის ეპარქიის ოთხ მღვდელს უარი განუცხადებიათ „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირში შესვლაზე. თუმცა მათი მოტივი, რომ ეკლესიის სამსახური და პოლიტიკური მოღვაწეობა ერთმანეთს ვერ ეგუებიან, სამართლიანია, მაგრამ ეპისკოპოს პიტირიმს, ძალიან სწყენია ეს და განუცხადებია ღვდლებისთვის, თქვენის მოქმედებირ ეპისკოპოზს ურჩობას უწევთ და ამიტომ იძულებული ვარ ვიშუამდგომლო სენატის წინაშე, რომ თქვენ მრევლი ჩამოგერთვათო.

✦ სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის“ საქმე. “სრულიად რუსეთის გლეხთა საქმის გარჩევა, რომელშიაც სხვათა შორის ბრალსა სდებენ ტანს, ბელეტსკის, კურნინს ა. ვ. ტესლენსკოს, ბლეკლოვს, მაზურენკოს და ლევიცკისი, დაწყება 16 დეკემბერს.

✦ პოლუბოტკოს მილიონები. ერთ დროს გეტმან პოლუბოტკოს „მილიონებმა“ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუსეთში. ეხლა როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, „პოლუბოტკოს მილიონების“ მემკვიდრეობის რწმენებულს გაუგია, რომ პოლუბოტკოს ლონდონის ბანკში შეუტანია მიმდინარე ხარჯზე მხოლოდ 25,000 მანეთი. მემკვიდრეებსაც მარტო ეს ფული ერგებათ. მემკვიდრეობის რიცხვით—500 კაცამდე ადის.

რედაქტორ-გამომცემელი
ივანე სოზიაშვილი.

ექიმი ე. მ. ჩიჟოლვანი

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის მახლოსლად საკუთარს სახლში, N 15; ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—16)

I მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ **I მანეთიდან**

ხელის მაშინები 25 მანეთიდან

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (10—6.—2)

პროვოდნიკის ამხანაგობა

1888

რიგაში

საუკეთესო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნარდად და ცალოგით: ●

ლინოლეუმი, აუარებელი, ერთფერიანი და უზორებიანი,

ასბესტის კარტონი,

ასბესტის და ტალკის ნაბივკა

◀ ახალი რამ: ▶

„საუკუნო“ ლინოლეუმი უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.

ლინკრუსტა (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის და საუკეთესო ეკონომიისთვის.

ცალოგით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა

გალოშები „პროვოდნიკისა“

18 97

კასტენტ-მიღებული

საუკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე

პირველი ადგილი უჭირავთ სიმკვიდრით, და ზედმოხმარებულ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.

უეჭველი თავმდებობა საქონლის სამაგალითო სიმტკიცისა და სიმაგრისა ყოველ წყვილზე.

პროვოდნიკისა

1888

წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის

ტფილისი და ბაქო. მიუნხ და ვეის

(50—ნ.—25)

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.